ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2022-წლის ივლისიდან 2023-წლის ივლისამდე განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

წარმოგიდგენთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2022 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 1 ივლისამდე გაწეული მუშაობის ანგარიშს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისია მუშაობას წარმართავდა საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების შესაბამისად.

2022 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 1 ივლისამდე კომისიამ ჩაატარა 12 კომისიის სხდომა. კომისიაში გაწევრიანებულია 10 წევრი. კომისიის სხდომებს იწვევდა და წარმართავდა კომისიის თავმჯდომარე. საკითხებს განვიხილავდით მერიის ჯანმრთელობისა და სოციალურ სამსახურთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან კოორდინირებული მუშაობის რეჟიმში.

მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით ჯანდაცვისა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებისთვს 322,5 ათასი ლარით მეტი დაიგეგმა (2022 წ. გეგმა _1583,8 ათ. ლარი, მიმდინარე წლის გეგმა განისაზღვრა 1906,2 ათ. ლარით). მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა წარმოდგენილია 23 ქვეპროგრამით. მათ შორის ორი ქვეპროგრამა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვას, ხოლო სოციალური მიმართულებით მუშაობს 21 ქვეპროგრამა.

მერიის მიერ განხორციელებული პროგრამებია:

06 03 01 სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა, რომელიც მოიცავს კვლევების, ოპერაციების, სამედიცინო მომსახურების და რამდენიმე ქრონიკული დაავადების მედიკამენტების დაფინანსებას. გასულ წელს გეგმა განისაზღვრა 450,0 ათასი ლარით, მიმდინარე წელს დაგეგმილია 40,0 ათასი ლარით მეტი, ანუ _ 490,0 ათასი ლარი. 2023 წელს ქვეპროგრამას დაემატა დახმარების ორი პუნქტი, რომელიც მოიცავს იშვიათი დაავადების მქონე ბავშვების სპეციფიკური საკვებით უზრუნველყოფას 3000 ლარამდე და ინ ვიტრო განაყოფიერების თანადაფინანსებას წყვილისთვის 4000 ლარამდე.

06 03 03 შშმ პირთა დახმარება, რომელიც მოიცავს 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის და მედიკამენტების დაფინანსებას, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვების ელემენტით უზრუნველყოფას და ასევე, შშმ პირის, რომელიც საჭიროებს მომვლელის, ყოველთვიურ დახმარებას. კოხლეარული იმპლანტის ელემენტით ყოველწლიურად სარგებლობს 3 არასრულწლოვანი, მომვლელის დახმარებით გასულ წელს სარგებლობდა 48, ხოლო მიმდინარე წელს მოსარგებლეა 56 შშმ პირი. ქვეპროგრამას მიმდინარე წელს დაემატა აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების დიაგნოსტიკა.

06 03 04 ერთჯერადი ფინანსური დახმარება - ქვეპროგრამის განსახორციელებლად მიმდინარე წელს დაგემილია 226.3 ათასი ლარი. ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 1367 მოქალაქემ.

06 03 05 ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება _ დიალიზის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციარს გასული წლიდან ყოველთვიურად ერიცხება 200 ლარი. დიალიზის პროგრამაში დღეის მდგომარეობით ჩართულია 11 მოქალაქე. ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება წლიურად განსაზღვრულია 600 ლარით და მოსარგებლეა 3 ბენეფიციარი.

06 03 06 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, რომლის მოსარგებლეა 4 და მეტი შვილიანი ოჯახი. გასული წლიდან დახმარება თითოეულ ბავშვზე განისაზღვრა 100 ლარით. მიმდინარე წლის ბიუჯეტი ქვეპროგრამაზე გასულ წელთან შედარებით გაიზარდა და განისაზღვრა 45.0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 51 ოჯახმა.

06 03 07 მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამით წინა წლებში დახმარება განსაზღვრული იყო ერთჯერადად 200 ლარი წლის განმავლობაში. გასული წლიდან დახმარება განისაზღვრა ყოველთვიურად 50 ლარით და წელიწადში შეადგენს 600 ლარს. ქვეპროგრამით გასულ წელს სარგებლობდა

10 მარტოხელა მშობელი, მიმდინარე წელს სარგებლობს _ 17 ბენეფიციარი.

06 03 08 მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება. დახმარების მიმღებია დედით ან მამით ობოლი ან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული 21 წლამდე ასაკის პირი. ქვეპროგრამით გასულ წელს მოიცავდა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას ოჯახზე, ამ წლიდან დახმარება გაიწევა ყოველთვიურად, ბენეფიციარზე 50 ლარის ოდენობით. გასულ წელს ქვეპროგრამით სარგებლობდა 15 ბენეფიციარი, მიმდინარე წელს მოსარგებლეა 36 ახალგაზრდა.

06 03 09 ყოველთვიური დახმარების პროგრამის ბენეფიარები არიან სამამულო ომის ვეტერანები, უსინათლოები და დევნილები. დახმარება 2022 წლიდან განისაზღვრა 50 ლარით. საშუალოდ მოსარგებლეა 92 მოქალაქე.

06 03 10 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება. დახმარების მიმღებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრი, რომელსაც პირველი რიგის მემკვიდრე არ ყავს და რომელზეც არ ვრცელდება ,,ომისა და სამხედრო ძალების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები. დახმარება განისაზღვრება 2000 ლარით და სარგებლობს 4 ბენეფიციარი.

06 03 11 ხანდაზმულთა დახმარება. დახმარების მიმღებია 100 წლის და მეტი ასაკის მოქალაქე. მიმდინარე წელს დახმარება განისაზღვრება 1000 ლარით. ამ დროისთვის ბენეფიარი არ გვყავს.

06 03 12 სადღესასწაულო დღეების დახმარება. დახმარება მოიცავს სადღესასწაულო დღეებში მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას. დახმარება გაიწევა ქვეპროგრამით დადგენილ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებსა და დღესასწაულის დღეებში სხვა მოწყვლად ჯგუფზე.

06 03 13 სოციალურად დაუცველი ან უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის დახმარება; დახმარების მიმღებია 65000 სარეიტინგო ქულამდე გარდაცვლილის ოჯახი. გასულ წლებში დახმარება განისაზღვრებოდა 200 ლარით, მიმდინარე წელს გაიცემა 250 ლარი. შესაბამისად, ქვეპროგრამის ბიუჯეტიც მიმდინარე წელს გაზრდილია.

06 03 15 ახალშობილთა ოჯახების დახმარება. პირველი ბავშვის შეძენისას ოჯახისათვის გაწეული დახმარება შეადგენს 100 ლარს, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში_150 ლარს, მესამე_200 ლარს, მეოთხე_250 ლარს, მეხუთე_300 ლარს და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას თანხა იზრდება 50 ლარით. ტყუპების შეძენის შემთხვევაში თანხა განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში დახმარება

განისაზღვრება 1500 ლარით. საანგარიშო პერიოდში დაკმაყოფილებულია 96 განცხადება.

06 03 16 ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვა. დაკრძალვის ხარჯი შეადგენას 250 ლარს და ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში დახარჯულია 0,25 ათ. ლარი.

06 03 17 სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარება მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დახმარებას, უსახლკარო პირთა და ძალადობის მსხვერპლთა მინიმალური საცხოვრებლით (ბინის ქირით) უზრუნველყოფას. გასულ წელს ბინის ქირით უზრუნველვყოფდით 3 მოქალაქეს, ამ ეტაპზე მოსარგებლეა 6 უსახლკარო პირი. სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე სხვადასხვა კატეგორიის 148 ოჯახს გაეწია დახმარება 115,45 ათასი ლარით.

06 03 18 უფასო სასადილოს დაფინანსება გასულ წელთან შედარებით 77.0 ათასი ლარით მეტი, ანუ 215.0 ათ. ლარი დაიგეგმა. სათნოების სახლი გასულ წელს ემსახურებოდა 140 ბენეფიციარს. მიმდინარე წლის მარტიდან კი ემსახურება 160 ბენეფიციარს. 2023 წლის ბიუჯეტში ბენეფიციართა კვებასა და ერთჯერად დახმარებებზე გამოყოფილია 90600 ლარი, მაისის

ჩათვლით ყოველდღიურ კვებაზე დახარჯულია 39.1 ათ. ლარი, ხოლო ერთჯერადად 41 ბენეფიციარს გაეწია 3.0 ათ. ლარის დახმარება. როგორც მოგეხსენებათ, გასული წლიდან გაფართოვდა მომსახურების არეალი, სასადილო კვირაში ორი დღე მზა საკვების ადგილზე მიტანით ემსახურება ახლომდებარე ადმ. ერთეულებში (საღანძილე, ბაზალეთი, ფარცხნალი, ლაშე) ბენეფიციარებს. ასევე, მიმართვების საფუძველზე საკვები პროდუქტით დახმარება გაიწევა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე.

06 03 19 სოციალური უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა. ქვეპროგრამა მოიცავს საგრანტო პროექტების თანადაფინანსებას. როგორც მოგეხსენებათ, ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების დანერგვის მიზნით 2020 წელს ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო საგრანტო პროექტი, რომლის ფარგლებში დაინერგა საჭიროების ან რისკის მქონე 0-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში ადრეული განვითარების სპეციალისტის მომსახურება. მშობლების მომართვის შემდეგ გამოიკვეთა მეტყველების თერაპევტის საჭიროება, რომელსაც მუნიციპალიტეტის სრულად აფინანსებს, რის შედეგადაც მშობლებს არ უწევთ ამ მომსახურების მისაღებად სხვა მუნიციპალიტეტში გადაადგილება, რაც დამატებით ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. საგრანტო პროექტის დასრულების შემდგომ სერვისის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით გრძელდება თანამშრომლობა მომწოდებელ ორგანიზაციასთან. გასულ წელს პროგრამით მეტყველების თერაპევტის მომსახურებით სარგებლობდა 11 ბავშვი, მიმდინარე წელს მომსახურების

მიმღებია 15 ბენეფიციარი, ხოლო ადრეული ინტერვენციის ქვეპროგრამის მიმღები გასულ წელს იყო 5 ბავშვი, მიმდინარე წელს არის 6 ბავშვი.

ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე წლიდან თანადაფინანსება გაიწევა საგრანტო პროექტზე ,,სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება სოციალური მომსახურების განვითარებისთვის“, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის და შინმოვლის მომსახურების დანერგვას. შინმოვლის მომსახურებით სარგებლობს 38 ბენეფიციარი, პერსონალური ასისტენტის მომსახურებით _5, ხოლო საყოფაცხოვრებო ასისტენტის მომსახურებით 4 ბენეფიციარი.

მიმდინარე წელს ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს წითელ ჯვართან, რომელმაც განახორციელა უკვე რამდენიმე აქტივობა, რაც წლის განმავლობაში გაგრძელდება.

06 03 20 გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა. ქვეპროგრამა მოიცავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მოკლებული ვართ შესაძლებლობას, მოქალაქემ ისარგებლოს სხვა მუნიციპალური პროგრამით. საანგარიშო პერიოდში განხილული იქნა 7 განცხადება და გაიწია შესაბამისი დახმარება.

06 03 21 ომისა და სამხედრო ძალების დახმარების ქვეპროგრამის მოსარგებლეა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. ქვეპროგრამაზე როგორც გასულ, ასევ მიმდინარე

წელსაც გამოყოფილია 20.0 ათასი ლარი. ქვეპროგრამით 2023 წ. ისარგებლა 42 ვეტერანმა.

06 03 22 მიმდინარე წელს ამოქმედდა არასრულწლოვანთა დახმარების ქვეპროგრამა, ქვეპროგრამა წარმოადგენს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობას, მიტოვების პრევენციას, კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას. ქვეპროგრამით მიმდინარე წელს 6 არასრულწლოვანის დახმარების მიზნით გაცემულია 6.7 ათ. ლარი.

უკვე ორი წელია, მერიაში შექმნილია მეორადი სტრუქტურული ერთეული ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. ამ ეტაპისთვის განყოფილებას აქვს ნაწარმოები 68 შემთხვევა, აქედან 8 არის დახურული, 7_ რეფერირებული სხვადასხვა უწყებაში, ხოლო 53 _აქტიური. ბენეფიციარებს გაეწევათ მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და მორალურ-სამართლებრივ დახმარება, კონკრეტული მდგომარეობის მიხედვით დგინდება გასაწევი დახმარების ფორმა და მოცულობა. კონსულტაცია გაეწევა ინდივიდებს, ჯგუფებს, ოჯახებს და საზოგადოების სხვა წევრებს ფსიქიკური ჯანმრთელობის, სიღარიბის, უმუშევრობის, ნარკოტიკული ნივთიერების მავნებლობის, ძალადობის, რეაბილიტაციის, ბავშვის მოვლისა და სამედიცინო დახმარების საკითხებში. ფასდება სიტუაცია, პრობლემა და შესაძლებლობა, რის შემდეგაც განისაზღვრება მომსახურება, რომელსაც ისინი საჭიროებენ. ვეხმარებით ბენეფიციარებს იურიდიული, სამედიცინო და ფინანსური დახმარების მიღებაში. უზრუნველვყოფთ პრობლემურ

სიტუაციაში მყოფ ბავშვებსა და მათ ოჯახებს სოციალური მომსახურებითა და დახმარებით - სოციალური, ფსიქოლოგიური და აკადემიური ფუნქციონირებისა და ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.

მუნიციპალური ჯგუფის მიერ განხილულია 5 შემთხვევა, რომელზეც მუშაობა გრძლდება სხვადასხვა უწყებების ჩართულობით. მუნიციპალიტეტმა ბავშვთა განყოფილების ჩართულობით დაიწყო ბავშვის საჭიროებების კვლევა მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რომელიც ათეა-სა და ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს ინიციატივით ხორციელდება. ეს საშუალებას მოგვცემს მომავალში შევქმნათ არასრულწლოვანთა მხარდაჭერის გრძელვადიანი პროგრამები, რაც გულისხმობს არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკურ გაძლიერებასა და მათი კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილებას. დავიწყეთ ვიზიტების განხორციელება სასწავლო დაწესებულებებში ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, რომლის ფარგლებშიც არასრულწლოვნებს წარვუდგენთ ასევე პრეზენტაციებს, ბავშვთა უფლებების, ძალადობის ფორმების და ბულინგის შესახებ. განყოფილების ინიციატივით და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების ჩართულობით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოხდა ისეთი ოჯახების აღრიცხვა, სადაც ცხოვრობენ არასრუწლოვნები და შეიქმნა ბაზა, რომელიც მანამდე არ ქონდა მუნიციპალიტეტს. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს მუშაობა არასრულწლოვანთა მხარდაჭერის გრძელვადიანი პროგრამის შესაქმნელად, რომელსაც წარვუდგენთ მერს და ვიმედოვნებთ, რომ გათვალისწინებული

იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში. გრძელვადიანი პროგრამა გულისხმობს არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკურ გაძლიერებასა და მათი კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილებას. მიმდინარეობს ასევე, არასრულწლოვან შშმ პირთა ბაზის შექმნა (სტატუსიანი, უსტატუსო) რომლის დასრულების შემდეგაც იგეგმება პროექტის განხორციელება მუნიციპალიტეტის სასწავლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით. დაიგეგმა ვიზიტები სასწავლო დაწესებულებებში, განყოფილების საქმიანობის შესახებ ინფორმირების მიზნით. რათა კიდევ უფრო მეტად გაღრმავდეს ჩვენს შორის კომუნიკაცია, ერთი საერთო ინსტერესის - ბავშვის კეთილდღეობის გამო.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონიტორინგი ისეთ ოჯახებში, სადაც უკვე თითქმის ერთი წელია ვმუშაობთ და ვაფასებსთ ქეისების ინდივუდუალური გეგმის მიზან-შედეგობრივ არსს. მინდა აღვნიშნო, რომ მომართვიანობა საკმაოდ მაღალია.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის სოციალურ პროგრაამებზე გამოყოფილი იქნა 47579 ლარი. აქედან 22329 ლარი მიმართულია მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამაში, 20250 ლარი მიმართულია სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დასახმარებლად, ხოლო 5000 ლარი მიიმართა ერთჯერადი ფინანსური დახმარების ქვეპროგრამაში.

ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას. მიმდინარე წელში მკვეთრად შემცირდა ახალი კორონავირუსული ინფექციის შემთხვევები. სულ 2023 წელში დაფიქსირებულია 123 დადასტურებული შემთხვევა. ინფექციის კლების გამო, სავალდებულო ტესტირებები გაუქმებულია ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე წლის მაისის თვიდან. ტესტირება უტარდებათ მხოლოდ სიმპტომიან ბენეფიციარებს. შემცირებულია ასევე კოვიდ ვაქცინაციის მსურველთა რაოდენობა, თუმცა სამსახური მუდმივად აკონტროლებს ვაქცინის ნაშთებს დაწესებულებაში, რათა სურვილის შემთხვევაში მოქალაქეებს არ შეექმნათ პრობლემა ვაქცინის არ ქონის გამო. ასევე წარმატებით ხორციელდება გეგმიური ვაქცინაციის პროცესი და ეპიდზედამხედველობის პროგრამის ფარგლებში მონიტორინგი მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში. სჯც ანხორციელებს C ჰეპატიტისა და შიდსის ინტეგრირებულ სკრინინგს და ც ჰეპატიტზე სკრინინგ დადებითი პირების შემდგომი კვლევისა და მკურნალობაში ჩართვისა და მიდევნების პროგრამას. სულ გატესტილია 1392 მოქალაქე. მიმდინარე წელში, პარაზიტოლოგიურ ლაბორატორიას თვითდინებით მომართა 56 მოქალაქემ. სკოლამდელ დაწესებულებებში პარაზიტული დაავადებების გამოვლენის მიზნით, სამსახურის მიერ გამოკვლევა ჩატარდა მუნიციპალიტეტის სოფელ ვარძიის, წიფის და კიცხის ბაღების აღსაზრდელებში, სულ გამოკვლეული 71 ბავშვი. მიმდინარე

წლის მაისის თვეში აღინიშნა მსოფლიო ჰიპერტენზიის საერთაშორისო დღე, რომელსაც ხარაგაულის ჯანდაცვის ცენტრიც შეუერთდა და თანამშრომლების მიერ მოხდა მოქალაქეების წნევის გაზომვა. სულ 176 ადამიანის გამოიკითხა სპეციალური კითხვარის მიხედვით და დაფიქსირდა მათი წნევა. აღნიშნული მონაცემები მთელი ქვეყნის მასშტაბით შემდეგში სტატისტიკურად მუშავდება. დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინიგის პროგრამების ფარგლებში, სკრინინგის მსურველ ბენეფიციარების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სამსახური. ინტერნეტ გვერდის მეშვეობით საზოგადოებას მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია სხვადასხვა დაავადების, აქტუალური სამედიცინო თემებისა და ზოგადად პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

მოქალაქეებს სამსახურის მიერ ყოველდღიურ რეჟიმში გაეწევათ კონსულტაცია სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე.

მერიაში, როგორც მოგეხსენებათ, მოქმედებს სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი კომისია, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია სამსახურის თანამშრომლებით, კომისიას ხელმძღვანელობს მერის პირველი მოადგილე, ბატონი ვარლამ ჭიპაშვილი, რომელიც აქტიურადაა ჩართული სამუშაო პროცესში, დაუყოვნებლივ ხდება განხილვა და რეაგირება სასწრაფო და მნიშვნელოვან საკითხებზე. ვთანამშრომლობთ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

სამსახურის თანამშრომლები აქტიურ მუშაობას ეწევიან სხვადასხვა კომისიის და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში, კომპეტენციის ფარგლებში ვთანამშრომლობთ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან.

არსებული პრობლემების უკეთ შესწავლის მიზნით, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების კომისიის წევრებთან ერთად, და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მონაწილეობით დაიგეგმა და განხორციელდა გასვლები და მოქალაქეებთან შეხვედრები.

შეხვედრები გაიმართა: ვარძიის,ხუნევის, ვერტყვიჭალის, ღორეშის, კიცხის, თეთრაწყაროს, პატარა ხარაგაულის მაცხოვრებლებთან, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლებთან, სამედიცინო პერსონალთან.

გამოიკვეთა შემდეგი კონკრეტული პრობლემები:

ვარძიის ბაღსა და სკოლაში არსებული წყალმომარაგების სისტემის გაუმართაობა.(დღესდღეობითპრობლემამოგვარებულია.შეკეთებულია სათავე-ნაგებობა,ამორეცხილია წყლის რეზერვუარი.)

ვერტყვიჭალის ბაღსა და სკოლაში და ასევე ხუნევის ბაღში, არსებული წყალმომარაგების სისტემის გაუმართაობა. (დღესდღეობით პრობლემა მოგვარებულია.)

ღორეშის ბაღში სამზარეულოს სივრციდან სანიტარულ კვანძამდე წყალგაყვანილობის სისტემის მიყვანის საკითხის მოწესრიგება. (დღესდღეობით პრობლემა მოგვარებულია.)

კომისიის გადაწყვეტილებით შეიქმნა ჯანდაცვის სტუდენტი ახალგაზრდებით დაკომპლექტებული ონლაინ საკონსულტაციო ჯგუფი. ონლაინ პლატფორმის მეშვეობით მათთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე: ,,ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება“. საუბარი ეხებოდა პირველადი ჯანდაცვის განვითარების პერსპექტივებს, სამოქმედო გეგმების ერთობლივად შედგენას და სტუდენტების, როგორც მომავალი ექიმების ჩართულობას ამ პროცესში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ინიციატივით, მუნიციპალიტეტის მერიისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის მხარდაჭერით ხარაგაულის ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებისათვის აქტიურად დაიწყო პირველადი ჯანდაცვის გაუმჯობესების მიზნით არაერთი ღონისძიების გატარება. კომისიის ინიციატივით,პროექტში ჩაერთო სამედიცინო ფაკულტეტის ხარაგაულელი სტუდენტები. პროექტის მონაწილეებმა 4 და 6 აპრილს საინფორმაციო-საგანმანათლებლო პრეზენტაციები ჩაუტარეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებს, თემებზე:

პირველადი გადაუდებელი დახმარება- (მომხსენებელი ლანა ღონღაძე.)

ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიოლოგია- (მომხსენებელინინო გელაშვილი.)

კანაბასი და თამბაქო- (მომხსენებელი მარიამ აბულაძე.)

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიისა და ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად განხორციელდა შემდეგი სამედიცინო აქციები:

კიცხის თემის მოსახლეობისათვის;

მარელისის თემის მოსახლეობისათის;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში დაბის მოსახლეობისთვის;

ბორითის თემის მოსახლეობისათვის;

კიცხის თემის მოსახლეობის სამედიცინო შემოწმების უფასო აქცი გაიმართა 2022 წლის 30 ივლისს;

სამედიცინო აქცია ჩატარდა კიცხის სკოლის შენობაში;

აქციის ორგანიზებაში მონაწილეობა მიღო კიცხის, ვარძიის, ხიდრის, წყალაფორეთის, თეთრაწყაროს სოფლის რწმუნებულებმა და საკრებულოს დეპუტატებმა;

სამედიცინო შემოწმების მსურველი მოქალაქეების გადმოყვანა განხორციელდა ორგანიზებულად;

პარალელურად, ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ განხორციელდა სკრინინგი აივ ინფექცია შიდსზე და C ჰეპატიტზე.

სამედიცინო შემოწმება დაორგანიზდა და განხორციელდა, ევექსის ქსელის დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის

და კრისტინა კილის სახელობის ონკოლოგიის ცენტრის პერსონალის ჩართულობით.

აქციაში მონაწილეობდნენ:

კარდიოლოგი;

რადიოლოგი;

ნევროლოგი;

მამოლოგი;

გინეკოლოგი;

უროლოგი;

ოფთალმოლოგი;

ანგიოლოგი.

კიცხში ტესტირება აივ შიდსზე და C ჰეპატიტზე ჩაუტარდა 70 ბენეფიციარს, ყველა უარყოფითი იყო აღნიშნულ ვირუსზე.

კიცხის თემში სამედიცინო პერსონალის კონსულტაციით ისარგებლა 100-ზე მეტმა მოქალაქემ, რომელთა მობილიზება განხორციელდა სოფლის რწმუნებულებისა და დეპუტატების ძალისხმევით.

მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება მოხდა სოციალური მედიის საშუალებით. ასევე ინფორმაცია მიეწოდათ დეპუტატებისა და სოფლის რწმუნებულების ინდივიდუალური ვიზიტების მეშვეობით.

მარელისის თემის მოსახლეობის სამედიცინო შემოწმების უფასო აქცია:

აქცია გაიმართა 22 ოქტომბერს;

სამედიცინო აქცია ჩატარდა მარელისის სკოლის შენობაში;

აქციის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღეს მოლითი, ზვარე, მარელისი, და სხვა სოფლის რწმუნებულებმა და მაჟორიტარმა დეპუტატებმა;

სამედიცინო შემოწმების მსურველი მოქალაქეების ტრანსპორტირება განხორციელდა ორგანიზებულად;

პარალელურად ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ განხორციელდა სკრინინგი აივ ინფექცია შიდსზე და C ჰეპატიტზე.

სამედიცინო შემოწმება დაორგანიზდა და განხორციელდა, ევექსის ქსელის დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის და კრისტინა კილის სახელობის ონკოლოგიის ცენტრის პერსონალის ჩართულობით.

აქციაში მონაწილეობდნენ:

კარდიოლოგი;

რადიოლოგი;

ნევროლოგი;

მამოლოგი;

გინეკოლოგი;

უროლოგი;

ოფთალმოლოგი;

ანგიოლოგი.

ყველა პაციენტს, რომელიც დარეფერირდა შემდგომი კვლევებისათვის კლინიკაში, გადაეცა 20% ფასდაკლების ვაუჩერი, რომელზეც მიეთითა მათთვის საჭირო კვლევები/კონსულტაციები;

ყველა დარეფერირებულ პაციენტს ადგილზე უფასოდ ჩაუტარდათ ულტრაბგერითი კვლევები;

აივ ინფექციაზე და C ჰეპატიტზე კვლევა ჩაუტარდა100 პირს. მათ შორის დადასტურდა 3 დადებითი შემთხვევაC ჰეპატიტზე.

აქციის ფარგლებში სულ სამედიცინო სერვისებით ისარგებლა 120-მა პირმა.

დაბის მოსახლეობის უფასო სამედიცინო კვლევის აქცია:

აქცია გაიმართა 12 ნოემბერს;

სამედიცინო აქცია ჩატარდა ხარაგაულის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის საავადმყოფოს ბაზაზე;

აქციის მიზანს ასევე წარმოადგენდა ადგილობრივი სტაციონარის რესურსების გაძლიერება, მათდამი მოსახლეობის ნდობის ამაღლება.

სამედიცინო შემოწმების მსურველი მოქალაქეების მომართვიანობა ხდებოდა თვითდინებით;

მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდა ადგილობრივი თვითმმართველობიდან და ასევე ინფორმაცია გავრცელდა სოციალური მედიის საშუალებით.

სამედიცინო შემოწმება დაორგანიზდა და განხორციელდა, სამედიცინო ჰოლდინგისა და ჩხობაძის სახელობის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის სამედიცინო პერსონალის ჩართულობით.

აქციაში მონაწილეობდნენ:

კარდიოლოგი/ნევროლოგი;

რადიოლოგი;

ინფექციონისტი/გასტროენტეროლოგი;

გინეკოლოგი - (გამოყენებული იქნა ადგილობრივი საკადრო რესურსი);

უროლოგი;

ოფთალმოლოგი;

რევმატოლოგი.

აქციის ფარგლებში სულ სამედიცინო სერვისებით ისარგებლა დაახლოებით 150-მა პირმა:

ბორითის ზონის მოსახლეობის სამედიცინო შემოწმების უფასო აქცია.

სამედიცინო შემოწმება დაორგანიზდა და განხორციელდა, ევექსის ქსელის რეფერალური ჰოსპიტლის და კრისტინა კილის სახელობის ონკოლოგიის ცენტრის პერსონალის ჩართულობით.

აქციაში მონაწილეობდნენ:

კარდიოლოგი;

რადიოლოგი;

ნევროლოგი;

ტრავმატოლოგი

პულმონოლოგი;

ქირურგი

ანგიოლოგი.

აქციის ფარგლებში სამედიცინო სერვისებით ისარგებლა დაახლოებით 150-მდე პირმა.

C ჰეპატიტზე სკრინინგი ჩაუტარდა 45 პირს დადებითი იყო ერთი პაციენტი. რომელიც გადამისამართდა კონფირმაციულ კვლევაზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი პირების უფასო გამოკვლევა განხორციელდა შპს რეგიონალურ ჯანდაცვის ცენტრში 4-5 აპრილს კარდიოქირურგისა და კარდიოლოგის მიერ (სულ 157 ბენეფიციარი)და 30 მაისს გენეკოლოგის მიერ (48 ბენეფიციარი.)

შეჯამება

უფასო სამედიცინო სერვისებით სულ ისარგებლა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 725-ზე მეტმა მოქალაქემ;

მოსახლეობამ პრაქტიკულად სახლიდან გაუსვლელად ჩაიტარა კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაციები სხვადასხვა პროფილის ექიმებისგან;

აქციის ფარგლებში ადრეული დიაგნოსტიკის მეშვეობით მოხდა არაერთი მოსალოდნელი მძიმე გართულების თავიდან აცილება. კერძოდ: (პერიტონიტი, გულის შეტევა, სიმსივნის ადრეული დიაგნოსტიკა, იშემიური ინსულტის პროგრესირება და ა.შ.);

ჩატარებული აქციების შედეგად დაიწყო მოსახლეობის ნდობის აღდგენის პროცესი სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებისადმი.

რეკომენდაციები და სამომავლო გეგმები:

საჭიროა სოფლად პირველადი ჯანდაცვის რგოლის გააქტიურება პრევენციული ჯანდაცვის სერვისების გაძლიერების კუთხით;

აუცილებელია ყოველწლიურად მსგავსი მასშტაბური სამედიცინო აქციების ორგანიზება და მოსახლეობითვის ხარისხიანი სერვისების მიწოდება;

სამედიცინო აქციები უნდა დაორგანიზდეს პირველადი ჯანდაცვის ოჯახის ექიმების უშუალო ჩართულობითა და მონაწილეობით. ამასთან, მათ მიერ უნდა მოხდეს პაციენტთა შემდგომი მეთვალყურეობა და მონიტორინგი.

სამედიცინო აქციის ფარგლებში ის პირები, რომლებიც გამოვლენილი დარღვევების გამო საჭიროებენ სხვა ღრმა სამედიცინო კვლევებსა და ინტერვენციებს, უნდა იყოს იდენტიფიცირებული და მათი შემდგომი კვლევის დანახარჯების ადვოკატირება განხორციელდეს ადგილობრივი

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურების მიერ.

2023 და 2024 წლებში აქტიურად უნდა მოხდეს ადვოკატირება და გადაჭრა ყველა იმ პრობლემისა რომელიც დაისვა და რომელთა მოგვარება ჯერ კიდევ არ დაწყებულა.